სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/281

ქ. თბილისი 18 ოქტომბერი 2018 წ.

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, ივ. ჯაგოდნიშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა ეკონომიკის დეპარტამენტის, ივ. ჯაგოდნიშვილის 16.1018 №01.09.33/5787 მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ოქტომბრის № 01-05-02/23 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს**

1. სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2018-19 სასწავლო წლისთვის „საზოგადოებრივი ურთიერთობების“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისთვის მოწვეულ იქნას რუსუდან სტრელკოვა პროფესორის თანამდებობაზე 400 საათიანი დატვირთვით 2019 წლის 1 აგვისტომდე.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე